პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 აგვისტო, სამშაბათი, 1985 წ.
№ 150 (8991) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დარჩა 18 დღე

რაც უფრო ნაკლები დრო რჩება იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, რედაქციაში მით უფრო ხშირად გაისმის ტელეფონის ზარი: ფეხბურთის ქომაგები გვეკითხებიან, როდის დაიწყება ამ ასპარეზობის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა, ექნებათ თუ არა რაიმე უპირატესობა აბონემენტების მფლობელებს, როდის ჩამოვლენ თბილისში ბრაზილიის, ირლანდიის, ესპანეთისა და საუდის არაბეთის იუნორთა ნაკრები გუნდები, რომლებმაც სწორედ ჩვენს ქალაქში უნდა გაარკვიონ ორი მეოთხედფინალისტის ვინაობა... ერთი სიტყვით, შეკითხვა ათასგვარია — ფეხბურთის გულშემატკივრები ხომ მუდამ გამოირჩეოდნენ იშვიათი ცნობისმოყვარეობით.

თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის", რუსთავის „მეტალურგის" სტადიონებზე ახლა უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზია ხელმძღვანელობს, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ჩვენი რესპუბლიკა ღირსეულად დახვდეს ამ დიდი ფორუმის მონაწილეებს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს — ოფიციალურ პირებს, სპეციალისტებს, ჟურნალისტებსა თუ ტურისტებს.

მომავალი ასპარეზობისთვის ემზადებიან, აგრეთვე, იმ საწარმოთა შრომითი კოლექტივები, რომლებმაც შეფობა უნდა გაუწიონ უცხოეთის დელეგაციებს, დაეხმარონ მათ ჩვენი რესპუბლიკის ისტორიული და თანამედროვე ძეგლების უკეთ გაცნობაში, მეგზურობა გაუწიონ თბილისსა თუ მცხეთაში, რუსთავსა და გორში...

გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტში გვაცნობეს, რომ თბილისის ჯგუფის მონაწილე ოთხივე გუნდი 21 აგვისტოს ჩამოფრინდება ჩვენს ქალაქში. როგორც ვიუწყებოდით, ფეხბურთელები და ოფიციალური პირნი თბილისის საუკეთესო სასტუმროებში — „ივერიასა" და „აჭარაში" იცხოვრებენ.

რაც შეეხება მატჩებზე დასასწრებ ბილეთებს, მათი გაყიდვა უახლოეს დღეებში დაიწყება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აბონემენტების მფლობელებს ამჯერად არავითარი პრივილეგია არ ექნებათ—ბილეთებს ისინიც საერთო წესით შეიძენენ.

24 აგვისტომდე 18 დღე დარჩა. ჩემპიონატი ბევრ სასიამოვნო, ამაღელვებელ წუთს ჰპირდება სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულებს.

ჯანმრთელობა. უწინარეს ყოვლისა

დროს თავისი მოაქვს. დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ დადგა დამოუკიდებელი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნის დრო. ეს აუცილებლობა ზუსტად პასუხობს ელემენტარულ ფორმულას: ჩვენს ჯანმრთელობას ჩვენვე უნდა მივხედოთ და რაც შეიძლება აქტიურად.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები უკვე მოქმედებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. ჩვენს რესპუბლიკას არა ერთსა და ორ სფეროში უთქვამს პირველი სიტყვა, ექსპერიმენტი ჩვენთვის უცხო ხილი არ არის. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბების შექმნაში უკვე გვაქვს რაღაც გამოცდილება — რბენის მოყვარულთა კლუბი „კუ" არსებობს ათზე მეტ წელიწადს ითვლის. ფოტოზე სწორედ ამ კლუბის ერთ-ერთი კროსის მომენტია აღბეჭდილი.

ინფორმაცია

შაბათ-კვირას მსოფლიოს სტადიონებზე, სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. ამ შეჯიბრებებში ნაჩვენებ შედეგებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თანამედროვე ხუთჭიდი

მონრეალი. კანადის ამ ქალაქში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში ქალთა შორის. საბჭოთა სპორტსმენები პროგრამის პირველ სახეობაში (ცხენოსნობა) სუსტად გამოვიდნენ. ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი (3270 ქულა) შვეციის გუნდს აქვს.

ცურვა

სოფია. მოცურავეთა, წყალში მხტომელთა და წყალბურთელთა ევროპის მე-17 ჩემპიონატში პირველი სტარტები გაიმართა. წყალში მხტომელთა წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ანჟელა სტასიულევიჩს და ალა ლობანკინას საუკეთესო შედეგები აქვთ (შესაბამისად 383,88 და 375,57 ქულა). წყალბურთელთა ტურნირის პირველი მატჩი სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდებმა ფრედ (7:7) დაამთავრეს.

ცხენოსნობა

დინარი (საფრანგეთი). ევროპის ჩემპიონის სახელი ცხენოსნობაში (დაბრკოლებათა გადალახვა) ინგლისელებმა მოიპოვეს (გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: მაიკლ და ჯონ ვიტეიკერები, ნიკ სკელტონი, მალკოლმ პირახი). პირად ტურნირში გფრ-ის წარმომადგენელმა პაულ შოკემოლემ იმარჯვა.

მძლეოსნობა

ბუდაპეშტი. უნგრეთის დედაქალაქის დიდი პრიზის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზა საბჭოთა მძლეოსანმა იური ტამმა, მან ურო 84 მეტრსა და 8 სანტიმეტრზე ტყორცნა და სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა მსოფლიოში.

ლენინგრადი. მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში 22 წლის ოლეგ პროცენკომ (მოსკოვის ოლქი) სამხტომში პირველი ადგილი დაიკავა. მისი შედეგი — 17 მ. 69 სმ. ევროპის ახალი რეკორდია და ინგლისელი კეიტონ კონორის მიღწევას 12 სანტიმეტრით აღემატება.

მოტოსპორტი

ლენინგრადი. მოტოკროსმენთა მსოფლიო ჩემპიონატში (250 კბ. სმ. კლასი) ფრანგი ჟაკ ვიმონდი ლიდერობას ინარჩუნებს. მას 276 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ავსტრიელი ჰაინც კინიგადნერი (264), მესამეზე — ჰოლანდიელი ჰერდ ვან დოორნი (236).

ნიჩბოსნობა

შიაულიაი. საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობაში უკრაინელმა სპორტსმენებმა მოიგეს. ამ გუნდის წარმომადგენლები პირად ჩათვლაშიც უძლიერესნი იყვნენ — პროგრამის ყველა სახეობაში ოქროს მედლები მოიპოვეს. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ნიჩბოსნები, ისინი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

ველოსპორტი

ერევანი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი 205 კილომეტრზე ჯგუფურ ველორბოლაში 21 წლის ხარკოველმა სტუდენტმა სერგეი ზმეევსკიმ მოიპოვა — 4:58.17,0.

კალათბურთი

ანტანანარივუ (მადაგასკარი). ცსკა-ს კალათბურთელებმა ამხანაგურ მატჩში ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები დაამარცხეს — 122:96.

სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი-85

განათლების სამინისტროს მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის მოსწავლეები (სკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი) საზაფხულო არდადაგებს ატარებენ ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის სკოლა-ინტერნატში. გართობა-დასვენებასთან ერთად ნორჩი ტანმოვარჯიშეები მომავალი შეჯიბრებისათვის ემზადებიან, დღითიდღე იმაღლებენ ოსტატობას სკოლის მწვრთნელების ხელმძღვანელობით. აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს ისტორიულ ადგილებში, მართავენ საღამო-კონცერტებს რაიონის კულტურის სახლში. ახლახან სპორტსკოლის აღსაზრდელები, საჩვენებელი გამოსვლებით წარსდგნენ ორჯონიკიძის სპორტულ დარბაზში შეკრებილი უამრავი მაყურებლის წინაშე.

სურათებზე აღბეჭდილია სპორტული ბანაკის ერთი დღის ცხოვრება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ტექსტი და ფოტოები

შალვა ამონაშვილი

აქტუალური დიალოგი

ცნობილი ქართველი პედაგოგის შალვა ამონაშვილის პრაქტიკული მოღვაწეობა, ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, ექვსწლიან ბავშვებთან მუშაობის ორიგინალური მეთოდიკა საყოველთაოდ არის აღიარებული. თავისი მრავალწლიანი მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის დიდი გამოცდილება განაზოგადა მან შესანიშნავ წიგნებში — „სწავლება. შეფასება. ნიშანი“, „შექმენ ადამიანი“, „მოსწავლეთა სწავლის შეფასების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია“, „გამარჯობათ, ბავშვებო!“ ამ უკანასკნელს აკადემიკოსმა ა. პეტროვსკიმ „პედაგოგიური სიმფონია“ უწოდა.

რა ადგილი უკავია ფიზკულტურასა და სპორტს, საერთოდ ფიზიკურ აქტივობას ბავშვისა და მოზარდის პიროვნების სტრუქტურაში? „ლელოს“ რედაქციის თხოვნით ამ საკითხზე საუბრობენ სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი შალვა ამონაშვილი და პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ზურაბ ცუცქირიძე.

ზურაბ ცუცქირიძე

უსაზღვროების მოდელი

ზ. ც. — ბატონო შალვა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ბავშვთა დისციპლინაზე მეტწილად ასეთი წარმოდგენაა გაბატონებული: ისინი არც უნდა ხმაურობდნენ, არც დარბოდნენ, არც ჩხუბობდნენ, არც ფეხს უდებდნენ ერთმანეთს; მოზარდები დარბაისლურად უნდა დაიარებოდნენ სკოლის დერეფნებსა თუ ეზოში და მომდევნო გაკვეთილის თემაზე მსჯელობდნენ. ხშირად სწორედ აი, ეს არის იდეალური დისციპლინის მოდელი. ამას რომ ვამბობ, მაგონდება თქვენი ნათქვამი —ბავშვი უსაზღვროების მოდელიაო და განა შესაძლებელია უსაზღვროების ხელოვნურ ჩარჩოებში მოქცევა?

შ. ა. — შეუძლებელია, და საჭიროც არ არის. აი, დგას დერეფანში წითელსამკლაურიანი ზედამხედველი და თვალყურს ადევნებს წესრიგს. მას რომ ხედავენ, ბავშვები თავს იკავებენ დერეფანში ბურთის თამაშისაგან და ისე გაუვლიან ხოლმე მორიგეს გვერდით, როგორც მძღოლები სახელმწიფო ავტოინსპექციის პუნქტს.

და იტყვიან უფროსები, რომ მათ სკოლაში სანიმუშო წესრიგი და მკაცრი დისციპლინაა დამყარებული. იმას კი აღარ ამბობენ, რომ ყოველივე ეს არის ფორმალიზმი აღზრდაში. დერეფნებში წითელსამკლაურიანი მორიგეები რომ არ იყვნენ, ბავშვები არ დააყოვნებდნენ თავიანთი ენერგიის შემოქმედებითად გამოყენებას. თუმცა მკაცრი დისციპლინის პირობებშიც კი მოიძებნებიან ონავრები, რომლებმაც კარგად იციან მოწმეების დაუსწრებლად ცელქობა.

ზ. ც. — მართალს ბრძანებთ, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ასეთი აკრძალვის, ბავშვის ფიზიკური აქტივობის ერთგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლებელია შეგნებული დისციპლინის აღზრდა, წესრიგიანობის ჩვევის გამომუშავება?

შ. ა. — „შეგნებული დისციპლინა“... როგორ გვიყვარს ამ სიტყვების ხშირ-ხშირად განმეორება. მერე, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ბავშვები საზოგადოებრივ მოთხოვნათა ღრმად შეგნების საფუძველზე თავს იკავებენ საკუთარი ენერგიის გამომჟღავნებისაგან? ან იქნებ იმას, რომ ამ შეგნებას ისინი ჩვენი ნოტაციების შედეგად იძენენ? ან იქნებ ის არის შეგნებული დისციპლინა, რომ ბავშვებმა კარგად წარმოადგინონ სიცელქისათვის განკუთვნილი სასჯელი და ეშინოდეთ კიდევაც მისი? შეგნებულობის ეს პატარა „ბოგირები“ ნამდვილად იფარავენ ბავშვებს გარდაუვალი მარცხისაგან. და, რა თქმა უნდა, არის სიტუაციები, როცა მკაცრი აკრძალვა აუცილებელიცაა. მაგრამ რა ვქნათ მაშინ, თუ მოთხოვნილება შეგნებაზე ძლიერია? თუ ბავშვს არ შეუძლია და არც სურს წყნარად იყოს, არ შეუძლია არ იცელქოს?

ზ. ც. — ამ დროს ცდილობენ ხოლმე ბავშვები გონებრივ საქმიანობაში ჩააბან, „ინტელექტუალურად დაღალონ“ და ამით აიცილონ თავიდან მათი სიცელქე.

შ. ა. — ბოლოს და ბოლოს, ასე რატომ ვუჯანყდებით ბავშვურ სიცელქეს? რატომ ცდილობენ უფროსები დაინახონ ამაში რაღაც დანაშაულებრივი? რატომ მიიჩნევენ შეგნებული დისციპლინის დარღვევად? მე მგონია ეს იმის გამო ხდება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცით, რა არის სიცელქე და ვინ არიან ეს ცელქები. რა ინტერესით წავიკითხავდი წიგნებს სიცელქისა და ცელქების ფსიქოლოგიაზე, მაგრამ სად არის!

ზ. ც. — ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, ბატონო შალვა, რომ თქვენ ცელქი ბავშვების მოყვარული პედაგოგი ბრძანდებით...

შ. ა. — მართლაც. ბავშვების ცელქობა არღვევს ჩვენს მყუდროებას. მე კი პედაგოგიური მყუდროების მომხრე არა ვარ და არც მინდა საქმე მქონდეს ასეთ ბავშვებთან — წყნარ, ყველაფერში გაწონასწორებულ შეგირდებთან, მუდამ თვალებში რომ შემოგცქერიან. არც ნამდვილი პედაგოგიკა შეიქმნებოდა, რომ არ არსებობდეს ბავშვური ცელქობა, რომ არ იყვნენ ანცი მოსწავლეები. ისინი საზრდოს აძლევენ პედაგოგიკურ აზრს, ხელს უწყობენ მის წინსვლას, აიძულებენ აღმზრდელებს შემოქმედებითად იფიქრონ, გამოავლინონ ნოვატორობა, პედაგოგიური შემართება.

ცელქები — ხალისიანი ბავშვები არიან. უსიცოცხლო, ერთფეროვან ბავშვებს მათგან გასაქანი არა აქვთ. ცელქები აფხიზლებენ მათ, ხელს უწყობენ, რომ გახალისდნენ, ისწავლონ თავდაცვა.

ცელქები — საზრიანი და გონებამახვილი ბავშვები არიან; ასეთ ბავშვებს შეუძლიათ ნებისმიერ მოულოდნელ ვითარებაში გამოიყენონ თავიანთი უნარი და აიძულონ უფროსები სხვაგვარად მოექცნენ მათ.

ცელქები — თვითგანვითარებისა და თვითმოქმედების ძლიერი ინერციის მქონე ბავშვები არიან. ისინი თვითონ ავსებენ იმ ხარვეზებს, რაც პედაგოგმა მათი ინდივიდუალური განვითარების საქმეში დაუშვა.

ცელქები — იუმორის გრძნობით არიან დაჯილდოებულნი, სასაცილოს ამჩნევენ თვით უაღრესად სერიოზულშიც კი, შეუძლიათ დოყლაპიები მათთვის უჩვეულო სიტუაციებში ჩააყენონ და გაერთონ ამით. ისინი კარგ განწყობილებასა და სიცილს უძღვნიან არა მარტო თავიანთ თავს, არამედ სხვებსაც, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს.

ცელქები — გულღია ბავშვები არიან, უყვართ ამხანაგებთან ურთიერთობა. ისინი ცელქობენ იმათთან ერთად, ვინც მათთან თანამშრომლობას იმსახურებს.

ცელქები — მოქმედი მეოცნებენი არიან, დამოუკიდებელი შემეცნებისა და სინამდვილის გარდაქმნისაკენ რომ მიილტვიან.

ბავშვის სიცელქე — ეს არის სიცოცხლის სიხარულის გამოვლინება, სიხარულისაკენ მისწრაფება, გონებრივი და ფიზიკური ნიჭის იშვიათი შეხამება.

ცელქები — ნამდვილი ბავშვები არიან; სწორედ ისინი წარმოადგენენ პედაგოგიკის აზრსა და საგანს.

ცელქები შეიძლება დავსაჯოთ, მაგრამ საჭიროა წავახალისოთ კიდეც.

მე მიყვარს ცელქი ბავშვები — ისინი დღენიადაგ სრულყოფენ ჩემს პედაგოგიურ ოსტატობას, მიბიძგებენ განუწყვეტელი თვითგანახლებისაკენ.

რა გააკეთონ ამ ცელქებმა, ამ მოუსვენარმა ფანტაზიორებმა საკლასო ოთახებსა და დერეფნებში გაკვეთილებს შორის შესვენებების დროს? ვაიძულოთ წაიკითხონ კედლის გაზეთები, რომლებიც მთელი ერთი თვეა არავის გამოუცვლია? ან რაში სჭირდებათ მათ ეს მოსაწყენი გაზეთები? იქნებ დერეფნებში იარონ და მეასედ თუ მეათასედ დაათვალიერონ იქ გამოფენილი ლოზუნგები და პლაკატები, სტენდები და ვიტრინები? ან იქნებ გაუთავებლად უცქირონ გამოჩენილ მწერლებსა და მეცნიერთა პორტრეტებს და იოცნებონ, რომ გახდნენ ისეთები, როგორებიც ისინი იყვნენ?

სიცელქე ბავშვის ღირებული თვისებაა, მაგრამ აუცილებელია მისი მართვა. მე დიდი ხანია ჩემთვის დავადგინე ასეთი პედაგოგიური მცნება:

ბავშვთა დისციპლინის არსი მდგომარეობს არა სიცელქის დათრგუნვაში, არამედ მის გარდაქმნაში. არ უნდა მოვთხოვოთ ბავშვებს ის, რაც ჩვენ თავადვე ვერ ჩავაგონეთ მათ ჩვენი პედაგოგიკის დახმარებით.

ზ. ც. — ბავშვის ფიზიკური აქტივობის ხელოვნური შეზღუდვა, ანუ, როგორც თქვენ იტყოდით, ბავშვური სიცელქის პედაგოგიური შეუფასებლობა, ხშირად ხელს უშლის ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებას, მეტიც, ზოგჯერ კიდევაც ამრუდებს მას. თქვენ როგორ ფიქრობთ, განა დრო არ არის, რომ ბავშვის ფიზიკური და გონებრივი აღზრდა მნიშვნელობით ერთმანეთს გავუტოლოთ როგორც პედაგოგიკის თეორიაში, ისე სასკოლო პრაქტიკაში?

შ. ა. — ფიზიკური და გონებრივი აღზრდის განსხვავებულ მოვლენებად წარმოდგენა არ შემიძლია, ჰარმონიული პიროვნების აღზრდა მათ ორგანულ ერთიანობას გულისხმობს: სრულყოფილი გონებრივი აღზრდა შეუძლებელია სათანადო ფიზიკური განვითარების გარეშე და არც ძვალკუნთოვანი სისტემის განვითარება ხდება გონებრივ ძალთა აუმოქმედებლად. ბავშვი მართლაც უთავბოლოდ კი არ დარბის, როგორც ეს ზოგიერთ მოზრდილს ეჩვენება. მისი მოძრაობა გარკვეული მოთხოვნილებით არის აღძრული და ბუნებრივია, რომ რაღაც მიზანსაც ისახავს. აბა, უკეთ რა უნდა ავითარებდეს გონებრივ ძალებს, ვიდრე ძალისხმევა დასახული მიზნის მისაღწევად? სხვა საქმეა, რომ ჩვენ ვიზრუნოთ ბავშვის ფიზიკური აქტივობის რაციონალიზაციაზე.

ბავშვის ბუნება უმოქმედობას ვერ ეგუება. აქტივობა (ფიზიკურიც და გონებრივიც) მისი ბუნებრივი მდგომარეობაა. პედაგოგის ვალი ამ მხრივ მარტივია—მან უნდა შეძლოს ამ აქტივობის სათანადო მოწესრიგება-წარმართვა. კერძოდ, ფიზიკურ აქტივობაზე თუ ვიტყვით, უნდა ვაღიაროთ, რომ ფიზკულტურის გაკვეთილები უდაბნოში გადაღვრილი ერთი დოქი წყალია. გაკვეთილებს შორის შესვენება, სწავლისა და შრომისაგან თავისუფალი დრო ფიზკულტურასა და სპორტს (ამ ცნების ფართო საზოგადოებრივი გაგებით) უნდა ეკავოს.

ზ. ც. — ამას სათანადო პირობებიც უნდა. მარტო ის ხომ არ კმარა, ბურთი მიუგდო ბავშვებს ან ურჩიო — აგერ ამ ქუჩაზე ან ტყე-პარკში რამდენიც გინდათ, ირბინეთ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე.

შ. ა. — ცხადია. სკოლას, როცა უამრავი სასწავლო კაბინეტები აქვს და მოეთხოვება კიდეც რომ ჰქონდეს, ასევე მრავლად უნდა ჰქონდეს სპორტული (თუნდაც უმარტივესი) ობიექტები და ინვენტარი — ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები, საჭიდაო ხალიჩები, ტანვარჯიშული იარაღები. არ უნდა დავივიწყოთ ხალხური სპორტული თამაშობები — ლახტი, ოთურმა, ლელო-ბურთი და ბევრი სხვაც.

მე ტყუილად კი არ ვაქე ცელქი ბავშვები. რახან ჩვენ ვერ მივხედეთ, ისინი თვითონ „აწესრიგებენ“ თავიანთი ფიზიკური განვითარების საქმეს და სხვებსაც ხელს უწყობენ ამაში.

მარტო სკოლაში კი არა, საცხოვრებელი სახლების ეზოები სავსე უნდა იყოს სათამაშო მოედნებით. ბოლოს და ბოლოს, ბავშვებს საშინაო დავალება ხომ ეძლევათ ფიზკულტურაში, სად მოამზადონ? განა ასე ძნელია ეზოების სპორტული კეთილმოწყობა? მოზრდილები ხომ ენერგიულად აწყობენ ეზოებში ხეივნებს, მის ქვეშ კი დომინოს სათამაშო მაგიდებსა თუ „საქეიფო ფაცხებს“? როგორც მახსოვს, სწორედ თქვენ წერდით ამ მავნე „ტრადიციის“ შესახებ „ლელოში“.

მივცეთ „მობურთალსა მოედანი“ და ამით აღზრდის ბევრი პრობლემა თავისთავად გადაწყდება. ყოველი სპორტული მოედანი თუ ღონისძიება მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ დადგმული გადაულახავი ბარიერია. ეს საქმე დახანებას ვერ აიტანს, რადგან დღეს საამისო ჟამიც არის და მდგომარეობაც მოითხოვს.

ზ. ც. — ბატონო შალვა, კიდევ ერთხელ გილოცავთ წარმატებას თქვენს სამეცნიერო მარათონში და გისურვებთ შემდგომ სასახელო მიღწევებს ჩვენი მომავლის — მოზარდი თაობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეში.

შ. ა. — გმადლობთ! „ლელოს“ მკითხველებს, მათ შვილებსა და შვილიშვილებს ვუსურვებ დაუღალელ ცელქობას ფიზკულტურულ-სპორტულ მოედნებსა და ბილიკებზე.

რესპუბლიკის ჩემპიონი

ჯონდო კაპანაძე

ქართული ჭიდაობა

დაიბადა 1960 წლის 29 აგვისტოს ხაშურში.

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ წევრი, სპორტის ოსტატი.

სიმაღლე — 180 სმ. წონა — 79 კგ.

მწვრთნელი — სპარტაკ ჯინორიძე.

საქართველოსა და „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში.

დასახლებაში აიგო სპორტული კომპლექსი

ცხინვალში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში სპორტის 10 სახეობა იყო შეტანილი. შეჯიბრებამ ორ თვეს გასტანა.

ვაჟთა ფრენბურთში, შმდ მრავალჭიდში, ბაგირის გადაძალვაში და კალათბურთში (ვაჟები) ყველას ქარხანა „ემალსადენის“ მუშა-მოსამსახურეებმა აჯობეს. პირველი ადგილები დაიკავეს ტრიკოტაჟის ფაბრიკის ფრენბურთელ და კალათბურთელ ქალთა გუნდებმა. შაშში და ჭადრაკში ბადალი არ ჰყავდათ ქარხანა „ვიბრომშენის“ წარმომადგენლებს. თითო სახეობაში გაიმარჯვეს ტრესტ „ცხინვალმშენის“ (მაგიდის ჩოგბურთი), სამკერვალო ფაბრიკის (მძლეოსნობა) და ხეტყის კომბინატის (ფეხბურთი) სპორტსმენებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად გაიმარჯვა და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა „ემალსადენის“ (მეთოდისტი — ვლადიმერ მულდაროვი) გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდნენ სამკერვალო ფაბრიკის (რუსლან ბაგაევი) მუშა-მოსამსახურეები. ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა (ალექსანდრე ძაგოევი) თუმცა მე-3 ადგილი დაიკავა, მაგრამ დიდ წარმატებად ვერ ჩავუთვლით. ამ ფაბრიკაში ასობით ახალგაზრდა მუშაობს. ასე რომ, მეტი მონდომება რომ გამოეჩინათ, იქნებ უკეთესი შედეგისთვის მიეღწიათ.

ცხინვალელებმა, კერძოდ, მამსუროვის დასახლების მცხოვრებლებმა ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს — ექსპლოატაციაში შევიდა ახალი სპორტული ბაზა. იგი ცხინვალის საოლქო საბჭოს აღმასკომის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის (გამგე ვასილ კულიჯანოვი) მუშაკებმა ააგეს. ბაზას აქვს ფრენბურთის, კალათბურთისა და მინი-ფეხბურთის მოედნები.

ახალი სპორტული ობიექტი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. „სპარტაკის“ საოლქო საბჭომ მოაწყო შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში. ასპარეზობაში დასახლების მცხოვრებლებთან ერთად, სხვადასხვა ფიზკულტურული კოლექტივებიც მონაწილეობდნენ.

ვლადიმერ მელქოევი.
ცხინვალი.

„სეზონის თასი“ — ლენინგრადის „ზენიტს“

გუშინ მოსკოვში გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის „სეზონის თასის“ საპასუხო მატჩი შარშანდელ ჩემპიონს ლენინგრადის „ზენიტსა“ და თასის მფლობელს მოსკოვის „დინამოს“ შორის.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა ლენინგრადში 30 ივლისს „ზენიტმა“ მოიგო (2:1) და დინამოელები გუშინ რევანშის აღების რთული პრობლემის წინაშე იდგნენ.

საპასუხო მატჩი კვლავ დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. ამჯერადაც ლენინგრადელებმა იმარჯვეს (1:0) და სეზონის თასს დაეუფლნენ.

I ლიგა

4 აგვისტოს გაიმართა I ლიგის „ა“ ჯგუფის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი რიგის „დაუგავასა“ და ხაბაროვსკის არმიელთა გუნდს შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

რესპუბლიკის თასზე

დაიწყო საქართველოს 1985 წლის თასის გათამაშება ფეხბურთში, განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა პირველი შეხვედრები. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

ახმეტა — ზესტაფონი 1:0, ბოგდანოვკა — „მოტორი“ (თბილისი) 2:4, ხაშური — აბაშა 7:6 (დამატებითი პენალტებით), „ავტომობილისტი“ (თბილისი) — ჩხოროწყუ 1:2, დუშეთი — თერჯოლა 3:1, გალი — გარდაბანი 7:0, წალენჯიხა — ზუგდიდი 2:3, ქიათურა — „იმედი“ (თბილისი) 3:4, ლაგოდეხი — წყალტუბო 1:2, ულიანოვსკის საბჭოთა მეურნეობა (აჭარა) — ცხინვალი 1:0.

ბოლნისელი ფეხბურთელები სათამაშოდ არ გამოცხადდნენ ხობში, წულუკიძელები — ყვარელში, ხოლო გაგრელები — რუსთავში, რის გამოც მათ დამარცხებები ჩაეთვალათ.

თასის რესპუბლიკური გათამაშების მეორე ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: ვანი — ახმეტა, „მოტორი“ (თბილისი) — ხობი, აბაშა — ჩხოროწყუ, დუშეთი — გალი, „იმედი“ (თბილისი) — ზუგდიდი, „მეტალურგი“ (რუსთავი) — ყვარელი, წყალტუბო — „ულიანოვკა“ (ქობულეთი), „შევარდენი“ (თბილისი) — გეგეჭკორი.

ეს მატჩები გაიმართება 10 აგვისტოს, წყვილებში პირველად დასახელებული გუნდები თავიანთ მინდვრებზე მიიღებენ მეტოქეებს.

საქართველოს პირველობა

გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბახტრიონი“	17	11	5	1	35-12	27
„ალაზანი“	16	12	2	2	46-10	26
„იმედი“	17	12	1	4	40-19	25
„ალგეთი“	18	8	9	1	39-19	25
„თრიალეთი“	17	9	3	5	30-23	21
„კოლმეურნე“	17	7	5	5	31-19	19
სპი თბ.	17	8	2	7	35-28	18
„გარეჯი“	18	7	4	7	20-23	18
„მაშავერა“	18	6	4	8	19-40	16
„აკრიანი“	18	4	7	7	31-39	15
„იორი“	18	4	3	11	26-39	11
„სამგორი“	18	3	4	11	18-48	10
„გარისი“	16	1	4	11	13-34	6
„ქიზიყი“	17	1	3	13	25-55	5

ცენტრალური ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„საირმე“	17	12	4	1	27-11	28
„ჩიხურა“	16	11	4	1	30-14	26
„ვარძია“	17	10	3	4	30-17	23
„იმერეთი“	16	11	0	5	27-12	22
„თორი“	16	8	3	5	21-14	19
„მშენებელი“	17	8	3	6	22-17	19
„კოლმეურნე“	16	8	1	7	28-20	17
პოლ. ინს. ქ.	17	8	1	8	22-26	17
„განთიადი“	17	6	5	6	28-21	17
„იბერია“	17	5	4	8	24-30	14
„ზარზმა“	17	5	3	9	22-29	13
„მესხეთი“	17	3	5	9	21-32	11
„აბული“	17	2	5	10	12-27	9
„რაჭა“	16	4	0	12	28-52	8
„ხვამლი“	17	1	5	11	18-38	7

II ჯგუფი

დასავლეთი ზონა

„სალხინო“	18	15	2	1	49-14	32
„ნარინ.“ ქ.	18	12	3	3	35-18	27
„ნარინ.“ ნ.	18	11	4	3	39-17	26
„ჩიბათი“	18	8	3	7	32-25	19
„ავტომობ.“	18	8	3	7	31-36	19
„ნარინ.“ გ.	18	7	5	6	23-16	19
„კოლხეთმშ.“	18	7	5	6	35-32	19
„კოლმ.“ გ.	18	8	1	9	34-37	17
„მეშახტე“	18	7	3	8	29-30	17
„სუბტროპ.“	18	7	3	8	29-32	17
„ენგური“	18	6	4	8	31-32	16
„გიგანტი“	18	5	6	7	27-25	16
„ოდიში“	18	6	2	10	32-40	14
„ნაპერწკ.“	18	5	4	9	22-32	14
„აკავრეთა“	18	3	3	12	19-38	9
„სენაკი“	18	2	3	13	22-59	7

ერთი საფეხურით წინ

სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო პირველობა ყოველწლიურად ეწყობა. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან ამ პრესტიჟული ტურნირის დასკვნითი ეტაპი თბილისში გაიმართა. მაშინ მასპინძლებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

წლეულს ჩვენმა ბიჭებმა კვლავ წარმატებით ჩაატარეს შესარჩევი ტურნირი და კიეველ, ხარკოველ, ვოროშილოვგრადელ, ერევნელ და ლვოველ თანატოლებთან ერთად ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ფინალური ასპარეზობის პირველი შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელებმა შეჯიბრების მასპინძლებთან, ლვოველ სპორტსმენებთან გამართეს. თავსხმა, რომელიც დილიდან დაიწყო, მატჩის დროსაც არ შეწყვეტილა. ასეთ პირობებში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა. მასპინძელთა ორ გოლს თბილისელებმა ერთი ბურთით უპასუხეს. საბოლოოდ მათ წააგეს შეხვედრა — 1:2.

შემდეგ მატჩებში ჩვენმა ბიჭებმა ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს ერევნელი, ვოროშილოვგრადელი და ხარკოველი თანატოლები, კიეველებთან ფრედ (0:0) ითამაშეს და მეორე ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე ლვოველი ფეხბურთელები გავიდნენ, ხოლო მესამეზე — კიეველები. სპეციალურმა ჟიურიმ ტურნირის საუკეთესო მცველად მიიჩნია თბილისელი თამაზ გაბრიჩიძე. მოწონება დაიმსახურა აგრეთვე მეკარე კახა გეთიას, თავდამსხმელ თემურ ქეცბაიასა და ნახევარმცველ კობა ხარჩილავას თამაშმა.

განათლების სამინისტროს გლდანის რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ოთარ გაგუა) გუნდი ტურნირისათვის მოამზადეს თეიმურაზ მახარაძემ და ავთანდილ ვარდიაშვილმა.

ჯილდოები გადაეცათ

ცნობილმა იტალიურმა ყოველკვირეულმა „გუერინ სპორტივომ“ სპეციალური პრიზები გადასცა იმ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1984-85 წლების სეზონში.

წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს ოსვალდო ბანიოლი, რომლის გუნდი „ელასი“ (ვერონა) იტალიის ჩემპიონი გახდა. სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს დიეგო მარადონა („ნაპოლი“), ხოლო ყველაზე ელეგანტურ მოთამაშედ — მიშელ პლატინი (ტურინის „იუვენტუსი“).

დისციპლინა — ჩვენი უპირველესი საზრუნავი

საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებიდან საკმარისზე მეტმა დრომ განვლო. მარტის დასასრულს სასტარტო მატჩები გაიმართა, ახლა კი ჩვენი მასობრივი ფეხბურთის ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებაში საზაფხულო შესვენებაა. გათამაშება განახლდება სექტემბრის პირველ რიცხვებში.

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატს, გუნდების მზადებას, უშუალოდ გათამაშების მატჩებს დიდი ყურადღებით ეკიდებიან ჩვენს ქალაქებსა და რაიონებში, მაყურებლები ინტერესით ესწრებიან თამაშებს, ახალგაზრდა ფეხბურთელები, ჭაბუკები სწორედ აქ სწავლობენ, აკვირდებიან უფროსებს, გამოდიან ვრცელ ასპარეზზე, ადგილობრივი სპორტული საზოგადოებრიობა საგულდაგულოდ ადევნებს თვალს გათამაშების მსვლელობას.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ კალენდარული მატჩების დიდი უმრავლესობა მიმდინარეობდა კორექტულად, კარგ სპორტულ დონეზე, რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევები, სერიოზული ექსცესები არ ყოფილა, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად მოიკლო წესრიგის დარღვევათა რაოდენობამ. ყველაფერი ეს იმედს გვისახავს, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე შევძლით დაგვემყარებინა ასე თუ ისე მყარი დისციპლინა, რომ მსაჯობაც გაცილებით გაუმჯობესდა, „საგანგებო შემთხვევები“ თითქმის აღმოიფხვრა.

მაგრამ ყველაფერი ეს — დისციპლინის მკვეთრი გაუმჯობესებაც, კორექტული თამაშიც, კარგი მსაჯობაც, პირდაპირ უნდა ითქვას, მხოლოდ გათამაშების სასტარტო, პირველი ეტაპის თანმხლები მოვლენები იყო. გავიდა დრო და, სამწუხაროდ, საერთო დაძაბულობამაც თანდათან იმატა, იმატა დარღვევებმაც. აქ მკითხველს გვინდა შევახსენოთ საქართველოს სსრ 1985 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების ის პუნქტი, რომლის ძალითაც პირველ ჯგუფს საგაისოდ ტოვებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში ბოლო 3-3 ადგილებზე გასული გუნდები, იგივე ხდება მეორე ჯგუფის სამივე ზონაშიც. ცხადია, შეჯიბრებაში მონაწილე არც ერთი გუნდი, ვინც კი სახიფათო ზონაში მოხვდება, ძალებს არ დაიშურებს, რათა თავიდან აიცილოს ქვემო ჯგუფში გადასვლის მეტად არასასიამოვნო პერსპექტივა, ამიტომ მკვეთრად გაიზარდა კონკურენცია, მოიმატა დაძაბულობამ, თითოეული ქულის მოპოვებისთვის უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა, ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მოიმატა წესრიგის დარღვევათა შემთხვევებმაც. უდისციპლინობაში შემჩნეული არიან ცალკეული გუნდებიც, უხეშად მოთამაშე ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც, ზოგჯერ წესრიგს არღვევენ მაყურებლები, ხშირად — მსაჯებიც და ყველაფერ ამის შედეგად „შავ სიაში“ ყოველ ახალ ტურში გვხვდება სულ ახალი და ახალი სახელები. ჩვენი საგაზაფხულო საფეხბურთო „იდილია“ დაირღვა.

ჩემპიონატის დასაწყისშიც იყო წესრიგის დარღვევის გარკვეული „უმნიშვნელო“ შემთხვევები: ცალკეული ფეხბურთელები არ იცავდნენ 9-მეტრიანი მანძილის წესს, განზრახ აჭიანურებდნენ დროს, დემონსტრაციულად გაჰყავდათ ბურთი თამაშიდან, კინკლაობდნენ ერთმანეთთან, ეკამათებოდნენ მსაჯებს და ა. შ., მაგრამ შემდგომში, როცა პირველი წრის ფინიშზე ზოგიერთი გუნდისათვის თითოეული ქულა მართლაც ოქროდ ფასობს, მკვეთრად იმატა უკვე სერიოზული ხასიათის უხეშმა დარღვევებმა. გახშირდა გაფრთხილებები, მინდვრიდან გაძევება, საჭირო შეიქნა რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტ-ტექნიკური კომისიის საქმეში ჩარევა ამ მოძალებული უხეშობისა და წესრიგის დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ რესპუბლიკური თათბირი ჩაატარა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელი ამხანაგები, სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები, გუნდების მწვრთნელები, მსაჯები. იმ თათბირზე კონკრეტული ღონისძიებები დაისახა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მაღალ სპორტულ-ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად, საერთო წესრიგის დასამყარებლად. ქალაქებისა და რაიონების სპორტულ ხელმძღვანელებს საგანგებოდ დაევალათ თავიანთი სპორტული ბაზების სრულ წესრიგში მოყვანა, სათამაშო მინდვრების კეთილმოწყობა, კალენდარული მატჩების დროს სათანადო წესრიგის უზრუნველყოფა, ფეხბურთელებთან და მაყურებლებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება და სხვა მრავალი. რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ამ ქმედითმა ღონისძიებამ, უდავოდ, სათანადო შედეგი გამოიღო, როგორც ზევით ვთქვით, ჩემპიონატის დასაწყისში ჩვენს საფეხბურთო ჩემპიონატში დამაკმაყოფილებელი წესრიგი სუფევდა.

მაგრამ რესპუბლიკის ჩემპიონატს ყველგან როდი მოუდგნენ სრული პასუხისმგებლობით. მაგალითად, **ფეხბურთის — ამ ჭეშმარიტად სახალხო, ყველაზე პოპულარული სახეობის მიმართ სრულ უყურადღებობას იჩენენ ახალციხეში.** იქაური სტადიონი ერთ დროს ერთ-ერთი სანიმუშო იყო რესპუბლიკაში, ახალციხის „მესხეთის“ გუნდიც საუკეთესოდ თამაშობდა, მაგრამ შემდგომში, დროთა მსვლელობაში, **სტადიონიც მწყობრიდან გამოვიდა და გუნდიც თანდათან დაბლა დაეშვა.** ახლა ახალციხის სპორტული ბაზის ტრიბუნები სანახევროდ დანგრეულია, ტერიტორიაზე სრული ანტისანიტარია სუფევს, მოუწყობელია მსაჯთა და სპორტსმენთა გასახდელები, საშხაპეები, სათამაშო მინდორიც ყოვლად უვარგისია. ერთი სიტყვით, წარსულში ეს საუკეთესო, კარგი სპორტული ბაზა ერთიანად გაპარტახდა, მიმხედავი კი ჯერჯერობით არავინ ჩანს.

ასევე ცუდ მდგომარეობაშია ბორჯომის სტადიონი. ამის თაობაზე ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა. რაიონის ხელმძღვანელობამ აღგვითქვა, რომ მოაწესრიგებდა სტადიონს, მაგრამ ჩვენს ამ ულამაზეს მხარეში — ბორჯომში, სტადიონი დღესაც სავალალო, ვაგლახ მდგომარეობაშია. მისი მნახველი მხოლოდ და მხოლოდ სინანულის გრძნობას განიცდის.

მოუვლელი და გაჩანაგებულია ფეხბურთის სათამაშო მინდვრები სიღნაღში, წნორში, გულრიფშში. თუ ეს სტადიონები უმოკლეს ხანში არ მოიყვანეს წესრიგში, შეიძლება სრული კატეგორიულობით დადგეს საკითხი იქაური გუნდების რესპუბლიკური შეჯიბრებიდან მოხსნის შესახებ.

ყოვლად უვარგისია სათამაშო მინდორი, სადაც კალენდარულ მატჩებს ატარებს პირველი ჯგუფის გუნდი — ქუთაისის „იმერეთი“. ან რა გამართლება შეიძლება ჰქონდეს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს (II ჯგუფი), რომელიც კალენდარულ მატჩებს ატარებს სოფელ ბროწეულას გამოუსადეგარ, უპატრონოდ მიტოვებულ სტადიონზე.

კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს გალის საფეხბურთო სტადიონი, რეკონსტრუქცია სჭირდება ოდესღაც კეთილმოწყობილ ხაშურის სპორტულ ბაზას, მოსავლელია დუშეთის, ქარელის, გორის რაიონის სტადიონები, უვარგისია ბალახის საფარი დმანისის, საგარეჯოს, ამბროლაურის, [illegible] მარნეულისა და სხვა სტადიონებზე.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებზე დამსწრე ინსპექტორებს თავიანთ ოფიციალურ ანგარიშებში სულ უფრო ხშირად უხდებათ უწესრიგობაზე ლაპარაკი, გახშირდა თამაშებზე მსაჯთა გამოუცხადებლობის შემთხვევებიც (სოხუმელი დ. სანაია, სამტრედიელი დ. გრიგოლია, ზესტაფონელი თ. საყვარელიძე და სხვანი). ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოები ხშირ შემთხვევაში ხელს არ უწყობენ შეჯიბრებათა მაღალ დონეზე ჩატარებას.

სწორედ ბოლო ტურებში იმატა უხეშობამ, მსაჯებთან კამათმა, გინებამ, მსაჯთა შეურაცხყოფამ და სხვა ამგვარმა შეუწყნარებელმა დარღვევებმა. **მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს მცხეთელი ა. იორამაშვილი, თბილისის „ავტომობილისტის“ წევრი ი. კირაკოსიანი, გალელი მ. ფარცვანია, ხოლო ცხინვალელი მ. დურგლიშვილი, ლაგოდეხელი ვ. გოგოლაძე — განზრახ უხეში თამაშისთვის. მინდვრიდან გაძევება დაიმსახურა ზუგდიდელმა ბ. თუთბერიძემ, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის წითელი ბარათი აჩვენეს ლაგოდეხელ გ. ხელაშვილს. ერთმანეთს შორის კინკლაობისა და გინებისთვის მინდვრიდან გააძევეს მცხეთელი ა. იორამაშვილი და ბოლნისელი გ. მუშკუდიანი. გვერდითი მსაჯი შეაგინა წყალტუბოელმა ა. კერესელიძემ, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს. ურთიერთ ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მინდორი დაატოვებინეს ვანელ ო. გეფერიძეს და გაგრელ მ. ტუისუზიანს. ამგვარ უმსგავსო მოვლენებს სისტემატურად ვხვდებით თითქმის ყოველ ტურში, დისციპლინის დამრღვევთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.**

ერთი სიტყვით, უდისციპლინობა, უხეშობა, დარღვევები სულ უფრო მატულობს, ამიტომ გუნდების ხელმძღვანელებმა, ფეხბურთის ადგილობრივმა ფედერაციებმა, სპორტკომიტეტებმა, ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა შთააგონონ ფეხბურთელებს, რომ რაც უფრო მძიმე სატურნირო მდგომარეობაში იმყოფება გუნდი, მით უფრო მეტი მონდომება, მეტი თავდადება, ნამდვილი სპორტული თამაშია საჭირო და არა უხეშობა, უხამსობა, წესრიგის დარღვევა.

ახლა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში სექტემბრამდე შესვენებაა. ამ პერიოდში გაიმართება რესპუბლიკური თასის მატჩები და სწორედ ახლა უნდა მივმართოთ ყველა ზომას, რომ როცა ჩემპიონატი განახლდება, სრული წესრიგი დავამყაროთ. **საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა თავის ამასწინანდელ სხდომაზე დაადგინა: სპორტულ-ტექნიკურ კომისიასთან და ფეხბურთის სამმართველოსთან ერთად ფართო სპორტული საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენლების თანდასწრებით საგანგებოდ იმსჯელოს ჩვენს ჩემპიონატში წესრიგისა და დისციპლინის დამყარების საკითხებზე.** საერთო ძალებით უნდა მივაღწიოთ, რომ ფეხბურთში რესპუბლიკურ შეჯიბრებათა მატჩები მშრომელი ადამიანების დასვენების კერად იქცეს, აღიკვეთოს უხეშობა და უწესრიგობა, რესპუბლიკურ საფეხბურთო ღონისძიებებში უნდა მოვამზადოთ და აღვზარდოთ ოსტატთა გუნდების შემცვლელი ღირსეული თაობა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

დამარცხებაც, რევანშიც...

3-4 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატზე უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ქუთაისის „მშენებელმა“ საბჭოთა რეგბის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კოლექტივს მოსკოვის „სლავას“ უმასპინძლა. ეს მატჩი კალენდრის მიხედვით დედაქალაქში უნდა გამართულიყო. მაგრამ ფესტივალთან დაკავშირებით რეგბის საკავშირო ფედერაციამ იგი ქუთაისში გადმოიტანა. ერთი სიტყვით, „მშენებელს“ კარგი შესაძლებლობა მიეცა გათამაშების ცხრილში განემტკიცებინა მესამე ადგილი, რომელიც მან წინა ტურში კიევის „ავიატორთან“ ორი გამარჯვების შემდეგ დაიკავა და მჭიდროდ მიახლოვებოდა მეორე ადგილზე მყოფ „სლავას“.

ბუნებრივია, ლიდერთა ეს პრინციპული ორი შეხვედრა უაღრესად დაძაბულ, უკომპრომისო ორთაბრძოლაში წარიმართა.

წინა მატჩების ანგარიშში აღვნიშნეთ, რომ „მშენებელი“ პირველი წუთებიდანვე აქტიური თამაშით ცდილობდა მიზნის მიღწევას და შედეგიანადაც... თითქოს ანალოგიური სურათი განმეორდა „სლავასთან“ პირველ შეხვედრაში. უკვე მეორე წუთზე მასპინძელთა შეტევა შედეგიანი აღმოჩნდა. მეტოქის ზონაში დანიშნული „შერკინებისას“ კარგად ითამაშეს ქუთაისელმა რეგბისტებმა და გრიგალავამ ბურთი მეტოქის ჩასათვლელ მოედანზე დაამიწა. ძაგნიძემ ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია — 6:0. „მშენებელი“ შემდეგაც ბევრს უტევდა. ტრადიციულად კარგად თამაშობდნენ შერკინების ხაზის მოთამაშეები, მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დღეს, როგორც იტყვიან, „არ წაუვიდა დარტყმები“ ძაგნიძეს და რამდენიმე ხელსაყრელი ჯარიმა გამოუყენებელი დარჩა. მოსკოველებმა ფრთხილი, პოზიციური თამაში ამჯობინეს, მთელი გუნდით ზრუნავდნენ საკუთარი „ქალაქის“ უსაფრთხოებაზე, ისინი თითქოს ელოდნენ მასპინძელთა შტურმის ჩაცხრომას, შეცდომის დაშვებას, რომ სწრაფი კონტრშეტევების მეშვეობით საპასუხო ქულები აეღოთ, 30-ე წუთზე შიშკოვის სწრაფი გარღვევის შემდეგ სტუმრებმა შეძლეს კიდეც ბურთის დამიწება. მიუხედავად ამისა, „მშენებელს“ თითქოს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ პაპანაქება სიცხეში სტუმართა ეს „მომლოდინე“ ტაქტიკა უფრო გამართლებული გამოდგა. დაიწყო მეორე ტაიმი და აღმოჩნდა, რომ „სლავას“ მეტი ენერგია ჰქონდა შემონახული. ამის წყალობით მოსკოველებმა 68-ე წუთზე კიდევ ერთხელ მოახერხეს 4 ქულის აღება. დარჩენილ დროში ქუთაისელმა რეგბისტებმა შეძლეს ადრიანად „გახარჯული“ ენერგიის „ნარჩენების“ მობილიზება და რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელეს, ბოლო წუთზე ახლოსაც იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ძაგნიძემ 40-45 მეტრიდან ვერ შეძლო საჯარიმოს ზუსტი დარტყმა. ამრიგად პირველ მატჩში გაიმარჯვა „სლავამ“ — 8:6.

განმეორებით შეხვედრაში, ბუნებრივია, ქუთაისელი რეგბისტები მხოლოდ რევანშზე ფიქრობდნენ. შეცვალეს ტაქტიკა, გაითვალისწინეს წინა მატჩის შეცდომები, და ასე ვთქვათ, „რეგბის პრესინგს“ მიმართეს. ძალზე მჭიდროდ თამაშობდნენ ქუთაისელთა სამმეოთხედელი მცველები. ყველაფერმა ამან კარგი შედეგი გამოიღო. „სლავა“ საკუთარ 22-მეტრიან ზონას „მიეჯაჭვა“, დაცვაზე გადასულ გუნდს კი მეტი შეცდომა მოსდის. მე-14 და 34-ე წუთებზე ძაგნიძემ საჯარიმოებიდან ბურთი ზუსტად გაატარა კარის ძელებს შორის — 6:0.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში გადმოსცე ამ შეხვედრის სიმძაფრე, რომელიც განსაკუთრებით მატჩის დასკვნით ტაიმში იგრძნობოდა, მთელი 40 წუთის განმავლობაში მინდორზე უაღრესად მწვავე, ძალისმიერი თამაში მიმდინარეობდა. როცა მოსკოველებმა ვერაფერი მოუხერხეს ქუთაისელ თავდამსხმელთა მჭიდრო მეურვეობას, შეტევებს მიმართეს, საპასუხოდ მასპინძლებმა ფეხით თამაში ამჯობინეს... მატჩის 72-ე წუთზე ლილუაშვილის ზუსტად შესრულებულმა საჯარიმომ წერტილი დაუსვა ამ უაღრესად ძნელ ორთაბრძოლას. ანგარიშით 9:0 გაიმარჯვა „მშენებელმა“. გამარჯვებულთაგან არავის გამოვყოფთ, რადგან ამ დღეს მინდორზე გამოსულმა 19-ივე რეგბისტმა თავისი წვლილი შეიტანა სამი ქულის მოპოვებაში.

ამ მატჩებში „მშენებლის“ ღირსებას იცავდნენ: **უგრეხელიძე, ტურძელაძე, ობოლაძე, წიწივაძე, გაბუნია, შვანგირაძე, დანგაძე, ფხაკაძე, ლოხაბერიძე, გიორგობიანი, ლიპარტელიანი, ხამაშურიძე, შამელაშვილი, გაბრიჩიძე, ძაგნიძე, ლილუაშვილი, შავგულიძე, ოდიშარია, ნემსიწვერიძე.**

პირველი წრის ბოლო ტურის მატჩებს „მშენებელი“ კვლავ საკუთარ მოედანზე გამართავს. იგი 10-11 აგვისტოს მოსკოვის „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).

• • •

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატზე გაიმართა მორიგი ტურის სხვა მატჩებიც: გაგარინის სახელობის სამხედრო საავიაციო აკადემიის გუნდმა დაამარცხა კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი“ — 30:9 და 39:6 და განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. მისი უახლოესი მეტოქე — მოსკოვის „სლავა“ ლიდერს 5 ქულით ჩამორჩება. კიევის „ავიატორმა“ დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 39:6 და 22:12. მოსკოვის სპორტკლუბმა „ფილიმ“ — მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 25:19 და 27:4.

ამრიგად, 23 თამაშიდან სსა-ს 63 ქულა აქვს, „სლავას“ — 58, „ავიატორს“ — 54, „მშენებელს“ — 52, „ფილის“ — 49, „ექსკავატორტიაჟსტროის“ — 41, „პრომორეცს“—38, „ლოკომოტივს“—33.

ძვირფასო თბილისელებო!

10 აგვისტოს, ფიზკულტურელის დღეს, გიწვევთ თბილისის სპორტის სასახლეში. მობრძანდით ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან ერთად. აქ გამართული სპორტული ზეიმი უთუოდ კარგ განწყობილებას შეგიქმნით. სასახლეში შეგიძლიათ დაათვალიეროთ ქართული სპორტის დიდების მუზეუმი. თქვენს განკარგულებაში იქნება:

მაგიდის ჩოგბურთის ოცი კომპლექტი, ორი ჩოგბურთის კორტი, ატრაქციონები ბავშვებისათვის, კალათბურთის, ფრენბურთის, ძალოსნობის სპორტული დარბაზები, ჭადრაკის ოცი მაგიდა, აქვე ჩატარდება ვარჯიშები რიტმულ ტანვარჯიშში (აერობიკა), მოეწყობა შეხვედრები ცნობილ სპორტსმენებთან, ნაჩვენები იქნება სპორტული კინოფილმები.

სავაჭრო ფარდულებში გაიყიდება სპორტული ინვენტარი, მოგემსახურებათ ბუფეტები, დასასვენებელი ოთახები, გასახდელები, საშხაპეები.

მოეწყობა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში, ბაგირის გადაძალვაში, ჩატარდება მასობრივი გართობა-თამაშობანი.

შეჯიბრების აქტიური მონაწილენი დაჯილდოვდებიან სამახსოვრო ვიმპელებით, სიგელებით, სამკერდე ნიშნებით, თასებით.

ძვირფასო თბილისელებო!

ერთი დღე დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას, გვეწვიეთ სპორტის სასახლეში.

შესვლა თავისუფალია.
დასაწყისი 11 საათზე.

სპორტის სასახლის დირექცია.

მძლეოსნობა

სამი რეკორდი — სამ კვირაში

ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია ახალგაზრდა ინგლისელი მორბენალი სტივ კრემი. 24 წლის ჩემპიონმა ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე არაოლიმპიური დისტანცია — 2 000 მეტრი 4.51,39-ში გაირბინა და 0,01 წამით გააუმჯობესა მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონის, ახალზელანდიელ ჯონ უოკერის მსოფლიო რეკორდი. შეგახსენებთ, რომ ეს კრემის მიერ დამყარებული მესამე მსოფლიო რეკორდია უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე. პირველი მან ნიცაში, 1500-მეტრიან დისტანციაზე დაამყარა — 3.29,67, შემდეგ კი ოსლოში ერთ მილზე (1609 მ) რბენაში მიაღწია შიხანს [illegible] 3.46,31.



ცენტრალური ტელევიზია. 6 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — **9.00** (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში — **19.15** (2); ევროპის ჩემპიონატი წყალში ხტომასა და ცურვაში — **23.00** (1).

საკავშირო რადიო. 6 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — **6.15** და **7.15**; საწარმოო ტანვარჯიში — **12.00**.

ბრძოლას განაგრძობს რვა გუნდი

პეკინში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი (16 წლამდე). წინასწარი თამაშები ცოტა არ იყოს მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა. მაგალითად, არგენტინისა და იტალიის ფეხბურთელები მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ, თუმცა მათ ფავორიტთა შორის ასახელებდნენ. ბოლო მატჩში — კონგოს გუნდთან — არგენტინელებს სჭირდებოდათ მოგება, სულ ცოტა, სამი ბურთით. პირველ ტაიმში გუნდმა თითქოს შეასრულა ეს ამოცანა — 3:0, მაგრამ შეხვედრის საბოლოო ანგარიში იყო 4:2 მის სასარგებლოდ. არგენტინელებს ვერაფერი უშველა სახელგანთქმული დიეგო მარადონას უმცროსმა ძმამაც. მან სამი გოლი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

საუდის არაბეთის ნაკრებმა დაამარცხა იტალიის ფეხბურთელები — 3:1. გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: ჩინეთი — აშშ — 3:1. ბრაზილია — მექსიკა — 2:0, უნგრეთი — კატარი — 3:0, ავსტრალია — გფრ — 1:0.

მეოთხედფინალში გავიდნენ ჩინეთის, გვინეის, ავსტრალიის, გფრ-ის, საუდის არაბეთის, ნიგერიის, უნგრეთისა და ბრაზილიის ფეხბურთელები.

ფინალური შეხვედრები 11 აგვისტოს შედგება პეკინში.

●●●●●●●●●●

ისევ ბეკერი

დევისის თასის გათამაშება, როგორც ცნობილია, ჩოგბურთელ ვაჟთა შორის "მსოფლიოს" არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატად ითვლება. 2-4 აგვისტოს გაიმართა ამ შეჯიბრების მეოთხედფინალური შეხვედრები.

სენსაციურად დამთავრდა გფრ-ისა და აშშ-ის ჩოგბურთელთა მატჩი ჰამბურგში. დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს დევისის თასის 28-გზის მფლობელი (3:2) და ნახევარფინალში გავიდნენ. კვლავ გამოიჩინა თავი უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში გამარჯვებულმა, ბორის ბეკერმა. გადამწყვეტი მესამე ქულა დასავლეთგერმანელებს სწორედ ამ 17 წლის ჭაბუკმა შესძინა, როცა საკმაოდ იოლად დაამარცხა არონ კრიკსტეინი — 6:2, 6:2, 6:1. ბეკერმა თავისი პირველი შეხვედრაც მოუგო 26 წლის ელიოტ ტელჩერს — 6:2, 6:2, 6:3. თანაგუნდელს მხარი აუბა ჰანს-იორგ შვაიერმა, რომელმაც სრულიად მოულოდნელად სძლია კრიკსტეინს — 2:6, 6:1, 2:6, 6:1, 8:6. უაღრესად დაძაბული გამოდგა წყვილთა შეხვედრა, რომელიც 3 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა წყვილმა კენ ფლეკისა და რობერტ სეგუზოს შემადგენლობით დაამარცხა ბეკერი და ანდრეას მიურერი — 6:2, 6:8, 6:1, 4:6, 7:5.

ასპარეზობის ბოლო დღეს ტელჩერმა მოუგო შვაიერს (6:4, 2:6, 5:7, 6:4, 6:2) და საერთო ანგარიშიც გათანაბრდა — 2:2. როგორც გითხარით, გფრ-ის ნაკრებს გადამწყვეტი ქულა მოუტანა ბეკერმა.

დანარჩენი მეოთხედფინალური მატჩები ისე დამთავრდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს ეკვადორელებს, ავსტრალიელებმა — პარაგვაელებს, ხოლო შვეციის ჩოგბურთელებმა — ინდოელებს.

4-6 ოქტომბერს გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები. ამ ეტაპზე იასპარეზებენ: გფრ — ჩეხოსლოვაკია, ავსტრალია — შვეცია.

●●●●●●●●●●

გუშინწინ შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი 31-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 21 (ცურვა), 34 (ბალახის ჰოკეი), 36 (ავიასპორტი), 40 (ბადმინტონი), 41 (სამბო), 47 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 6 (ძიუდო), 10 (წყალბურთი), 16 (ცხენოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 36 (ავიასპორტი).

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 ~~20~~ 21 22 უე 06176